გეგმის ფრაგმენტი N1



გამაგრებითი სამუშაოების შესრულების თანმიმდევრობა:

1. გასამაგრებელი ღიობი გაიწმინდოს მტვერისგან და ზედმეტი დუღაბი მოცილდეს;
2. არსებული , გასამაგრებელი ღიობი შეილესოს ცემ. ხსნარით.
3. ღიობის თაღი გამაგრდეს დროებითი დგარებით (დომკრატი).
4. ღიობის თავზე ამოიჭრას ღარები (30სმ# 20სმ) ორივე მხარეს;
5. ჩაისვას შვN24 ჯერ ცალ მხარეს, მერე მეორე მხარეს და გამაგრდეს დროებითი დგარებით
6. ამოიჭრას ღიობის თავზე (30სმ# 20სმ ღარი შუაში) და ჩაისვას ორტ.N24;
7. მონტაჟის შემდეგ ამოჭრილი ღარები შეივსოს წვრილმარცვლოვანი ბეტონის ხსნარით.
8. გაეკრას რაბიცის ბადე და შეილესოს მაღალი მარკის (ბ25- მ300) ცემენტის ხსნარით

ი. მ. "ივანე ათოშვილი" ადიგენი სოფ. უდე 557 000 484 საიდენტიფიკაციო კოდი: 03001003121	შიდა აზომვითი ნახაზი		მისამართი:
	დირექტორი	ი. ათოშვილი	ქ. თბილისი რუსთაველის გამზირ №28
	არქიტექტორი	ი. ათოშვილი	
	აზომვა შეასრულა	ი. ათოშვილი	
	კონსტრ.	თ. ჭუღლიაშვილი	
	მასშტაბი 1.100		15.08.2023

ი/მ ივანე ათოშვილი 03001003121 IVANE ATOSHVILI

1 - 1







ფოლადის მასალის ამოკრეფა

კონსტრუქციის დასახელება	ელემენტის მარკირება	პოზ. #	პროფილი	სტანდარტი	სიგრძე (მმ)	ერთ ელემენტზე			მთლიანად		ფოლადის მარკა
						რაოდენობა (ც.)	სიგრძე (მ.)	წონა (კგ.)	სიგრძე (მ.)	წონა (კგ.)	
ბოძი			I N24		4300	1	4.3	118	4.3	118	
"			⊏N⊏24		4300	2	4.3	103	8.6	206	
ყუთხოვანა			L 100×10		-	-	-	-	13.8	208	
ზოლოვანი ფოლადი			-100×10		-	-	-	-	25.5	200	
ანკერი			Φ20		850	6	0.85	2.15	5.1	12.7	
"			Φ16		800	8	0.8	2.0	6.4	16.0	

ს უ ლ: 760,7 კგ

ი. მ. "ივანე ათოშვილი"

ადიგენი სოფ. უდე
557 000 484

საიდენტიფიკაციო კოდი: 03001003121

შიდა აზომვითი ნახაზი			მისამართი:
დირექტორი	ი. ათოშვილი		ქ. თბილისი რუსთაველის გამზირ №28
არქიტექტორი	ი. ათოშვილი		
აზომვა შეასრულა	ი. ათოშვილი		
კონტრ.	თ. გულისკირია		
	მასშტაბი 1:100		15.08.2023

კონსტრუქციული დასკვნა

ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ. N28-ში ოთხსართულიანი შენობის მე-3 სართულის ნაწილზე მზიდი კედლის ჩამოშლის შესახებ ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ი.მ „ივანე ათოშვილის“ დაკვეთით სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობას, მისი ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად.

ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა-კრწანისი, რუსთაველის გამზ. # 28 ში - თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, კოდი # 01.15.05.010.011 შიმდებარე საცხოვრებელი სახლის შენობა წარმოადგენს ხუთსართულიან ნაგებობას, სარდაფის სართულით. შენობას გააჩნია სხვენი და შენობის სახურავი დაქანებულია შენობის ორივე მხარეს, რუსთაველის გამზირისკენ და შიდა ეზოში.

შენობა ამჟამად სასტუმროს ტიპისაა და აშენებულია მე-20 საუკუნის 50-ან წლებში. გეგმაში შენობა ჩაკეტილი ოთხკუთხა ფორმისაა და კონსტრუქციული სქემის მიხედვით სახლი მზიდკედლებიანი ტიპისაა, რომელსაც გააჩნია სარტყელები და ბეტონის ჩანართები.

შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:

- საძირკვლები ლენტური ტიპისაა, ყორექვისგან;
-კედლები წითელი ე.წ. ქართული აგურის წყობისაა, სხვადასხვა სისქით: სარდაფის კედლები 95სმ; დუღაბის ხსნარზე; სართულებზე კედლის სისქე 85 სმ.
-ზღუდარები კარ-ფანჯრების თავზე აგურის;
-სართულშუა გადახურვების დიდი ნაწილი შესრულებულია ხის კოჭებზე, ხოლო მცირე ნაწილში მოწყობილია რ/ბეტონი (სველ წერტილებში).
-ტიხრები მოწყობილია ლით.პროფილზე გაკრული თაბაშირ - მუყაოს ფილებით .
- კიბეები ფოლადის კოჭებზე განლაგებული ე.წ. მოზაიკის საფეხურები მოწყობილია მთავარი შესასვლელიდან და მეორე .ეზოდან
- სახურავი ხის ნივნივები და პროფფენილის ბურული.

შენობის საინჟინრო კვლევა/გამოკვლევა

საინინრო კვლევის საგანს წარმოადგენს ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ. # 28 -ში თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, კოდი # 01.15.05.101.011 ში მდებარე სასტუმროს ტიპის შენობის მე-3 სართულზე ნაწილზე (ერთერთ ნომერში) მზიდი კედლის ღიობის ჩამოშლის გამო შენობის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა ღიობის გამაგრებითი ღონისძიების ჩასატარებლად. შესრულებული კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ ზემო-ხსენებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, კერძოდ:
ვიზუალური დათვალიერებით შენობის მზიდი ელემენტები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მას არ აღენიშნება არათანაბარი ჯდენისგან გამოწვეული დეფორმაციები და კონსტრუქციული ხასიათის დაზიანებები. საძირკვლებში არ შეიმჩნევა გრუნტის ან სხვა წარმოშობის წყალი, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს განსალხილველ შენობაზე.

რაც შეეხება ჩამონგრეულ აგურის თაღოვან ზღუდარას , დაუყონებლივ უნდა მოეწყოს ლითონის მოჩარჩოება.

დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ განსალხილველი საცხოვრებელი შენობის მზიდი ელემენტები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაძლებელია განხორციელდეს სამშენებლო- სამონტაჟო სამუშაოები. მზიდ კედელში მოჩარჩოებული ღიობის მოწყობამ მომიჯნავე ოთახებში გასასვლელად. საპროექტო სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ზეგავლენა რომ არ მოახდინოს ძირითად შენობებზე საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. ღიობის მოჩარჩოების შამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით;
   - ღიობი რომლის ზომაა 3.8მX4.4 მ უნდა მოჩარჩოვდეს ლითონის ელემენტებით კედლის ჯერ ერთ მხარეს , ხოლო ბეტონის გამაგრების შემდეგ სიმეტრიის ღერძამდე მოეწყოს დროებითი საყრდენები. იგივე განმეორდეს კედლის მეორე მხარეს.
   - ჩარჩოების ერთმანეთთან ანკერებით დაკავშირების შემდეგ ორივე ჩარჩო ერთმანეთთან დაკავშირდეს სამაგრი ლითონის ფირფიტებით და შეილესოს რაბიცის ბადის გამოყენებით.
2. ყველა ზემოხსენებული ღონისძიებები ასახული უნდა იყოს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

ი.მ. „ივანე ათოშვილი“ — ი. ათოშვილი

კონსტრუქტორი: — თ. ბულისკირია

დანართი; ფოტომასალა

2023/9/27 10:47